202

გორის მუნიციპალიტეტის მერია

KA990171547873718

საქართველო, გორი 1400, გ. ფერაძის 5; ს/კ 218086087

№ 01/18857

09 / ნოემბერი / 2018 წ.

ფაქტ-მეტრის რეგიონალურ ანალიტიკოსი, ნინო ჩიბჩიურს
მის: გორი, გაბაშვილის 78

ქალბატონო ნინო,

თქვენი წერილის გორის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიის რეგისტრაციის ნომრით №18 604 პასუხად გაცნობებთ, რომ გორის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში წყლის პრობლემა მოხსნილია, არსებობს სოფლები სადაც არ არის წყალგაყვანილობის სისტემები (ქსელი), მაგრამ მოსახლეობა სარგებლობს ინდივიდუალურად მოწყობილი არტეზიული ჭებით, ეს სოფლებია: კარალეთი, დიდი და პატარა გარეჯვარი, თორტიზა, ხელთუბანი, სვენეთი, სათბურის დასახლება, ველები(ბუნებრივი წყაროები).
2019 წელს წყალგაყვანილობის სისტემების მოწყობა იგეგმება სოფლეში ნადარბაზევი და არაშენდა.
სოფლებში: ყველაანთუბანი,ტუსრევი, ლევიტანა(იაილები), მღვრიანი და საყავრის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობა სარგებლობენ ბუნებრივი წყაროებიდან გამოყვანილი საუბნო ონკანებით.
2014 წლიდან დღემდე შემდეგ სოფლეში შესაძლებელი გახდა სასმელი წყლის მიწოდება: მეჯვრისხევი, შავშვები, ნაწრეტი, მეღვრეკისი, სათემო, ზემო და ქვემო სობისი, ფლავი, ერგნეთი, შინდისი, ურვალეთი, ზარდიაანთკარი, კოშკა, დიცი, ქვეში, ზემო და ქვემო ნიქოზი, ზემო ხვითი, ატენი, ხიდისთავი, ქვახვრელი, ზედა ქსოვრისი, ძევერა, სკრა, ორთაშენი, ბერბუკი, პატარა მეჯვრისხევი, ქვემო ხვითი. წყლის სისტემების მოწყობის დასრულებითი სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს სოფლებში: ტინისხიდი და თედოწმინდა.
გორის მუნიციპალიტეტის 19 სოფელს ბუნებრივი აირი არ მიეწოდება, უნდა გამოვყოთ სოფლები ხიდისთავი და თერგვილი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები გაზიფიცირებისათვის. 2014 წლის შემდეგ მოხდა 85 სოფლის გაზიფიცირება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო
ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

გიორგი ღვინიაშვილი